KA030178488534018

№ 01-1420/ს **20 / აგვისტო / 2018 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ გლობალური ჯანდაცვის სისტემებისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 2018 წლის 8-12 ოქტომბერს, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში, ქ. ლივერპულში ტარდება ჯანდაცვის სისტემების კვლევების მე-5 საერთაშორისო სიმპოზიუმი. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით მიწვეულია ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ქეთევან გოგინაშვილი, რომელიც წარადგენს პრეზენტაციას თემაზე: „ჯანდაცვის სერვისების მიზნობრივი დაფინანსება თუ უნივერსალური მოცვა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად“.

აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდი უზრუნველყოფს მგზავრობის, სასტუმროსა და დღიური ნორმის ანაზღაურებას.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ ქალბატონი ქეთევან გოგინაშვილისათვის მივლინების ბრძანების გაფორმებას 2018 წლის 7 ოქტომბრიდან 13 ოქტომბრის ჩათვლით.

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სოფიკო ბელქანია